

## მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „ტექნო 2016“-ის მიერ

ქ. ჭიათურაში მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს  
მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი  
გადაწყვეტილების მოპოვებისათვის წარდგენილი განცხადების თაობაზე

13 მაისი, 2020

წარმოდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე 2020 წლის 12 მარტს [გამოქვეყნებულ](#) შპს „ტექნო 2016“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშზე.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში საერთოდ არ არის შეფასებული პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება. ასევე, არ არის განხილული პროექტის საჭიროება. თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირება რეგიონს და ზოგადად ქვეყანას.

გზმ ანგარიშში მხოლოდ მიკროძოვებულად, დადებით ჭრილში წარმოდგენილ შეფასებებს ვხვდებით; შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ანალიზი გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში.

### ალტერნატივების ანალიზი

1. არაქმედების/უმოქმედობის ალტერნატივა განხილულია მხოლოდ დადებითი კუთხით. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, უმოქმედების ალტერნატივა გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას. მიუხედავად ამისა, გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში წარმოდგენილი არაქმედების ალტერნატივა, ზოგად დასკვნებს ემყარება და გარდა საქმიანობის განუხორციელებლობისა, არ მოიცავს, გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას.
2. ასევე, ანგარიში არ მოიცავს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის შესამე ნაწილით დადგენილ „ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ“.
3. განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ იგეგმება მადნის გამამდიდრება სველი წესით. პროექტით, გათვალისწინებულია დაბინძურებული წყლის სალექარში განმენდა. დღეისათვის, ჭიათურაში არსებული საწარმოები წყლის განმენდის სწორედ ამ მეთოდს მიმართავენ და ამ საწარმოების გზმ ანგარიშები და სალექარის ეფექტურობის გათვლები იგივე საკონსულტაციო კომპანიის მომზადებულია. თუმცა, მდ. ყვირილას არსებული მდგომარეობა თვალნათლივ აჩვენებს, რომ მხოლოდ სალექარებში წყლის განმენდა არაეფექტურია. შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს რამდენად დაბინძურებული და შავი ფერის წყალი გაედინება სხვადასხვა საწარმოების სალექარიდან მდ. ყვირილაში. ამიტომ, კომპანიამ უნდა განიხილოს წყლის განმენდის ეფექტური მეთოდები. სამინისტრომ კი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლის შესაბამისად, გაითვალისწინოს მოქმედები

საწარმოების საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგები ტექნო-2016-ის საქმიანობისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## **სოციალურ გარემოზე ზემოქმედება**

დოკუმენტში სოციალურ გარემოზე ზემოქმედება განხილულია ძირითადად მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების კუთხით, მოსახლეობაზე და მათ ჯანმრთელობაზე ზემოქმედება კი შეფასებული არ არის.

ანგარიშის 6.2.6 ქვეთავში წარმოდგენილია სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, თუმცა შინაარსი არ შეესაბამება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გარდა იმისა, რომ თავი ძალიან ზოგად ინფორმაციას მოიცავს, ვერ ვხვდებით კონკრეტულ კვლევებსა და ანალიზზე დამყარებულ გათვლებს. აგრეთვე, ქვეთავი არ მოიცავს დადებითთან ერთად, ნეგატიური ზემოქმედების შესახებ ინფორმაციასაც.

## **ხმაური**

ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხი განხილულია 6.2.3 ქვეთავში. აქვე, წარმოდგენილია გარკვეული გათვლები და ბოლოს დასკვნის სახით ნათქვამია, რომ უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე ხმაურის მოსალოდნელი დონეები კანონით დაშვებულ ნორმაზე გაცილებით დაბალი იქნება.

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, უახლოესი საცხოვრებელი ტერიტორია, სოფელი ითხვისი საპროექტო ტერიტორიიდან 600 მეტრით არის დაცილებული. სოფ. ითხვისის მოსახლეობა ხშირად გამოთქვამს წუხილს უკვე არსებული საწარმოებიდან წარმოქმნილი ხმაურის გამო (განსაკუთრებით ღამის საათებში). ახალი ქარხნის მშენებლობა, კიდევ უფრო გაზრდის კუმულაციურ ეფექტს. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ფაბრიკის ტექნოლოგიური ხაზის განთავსება დაგეგმილია ღია ცის ქვეშ, რაც ხმაურის გავრცელებას უწყობს ხელს. ამიტომ, მიგვაჩნია რომ კვლევაში წარმოდგენილი გათვლები საფუძვლიანი ეჭვის საბაზს იძლევა, ხოლო საკითხი საჭიროებს საფუძვლიან კვლევას.

## **შლამების და კუდების მართვა**

არ არის შესწავლილი და შესაბამისად წარმოდგენილი შლამებისა და კუდების მართვის საკითხი. არ არის მოცემული შლამების საბოლოო განთავსების ადგილი (GPS კოორდინატებით).

დოკუმენტის დასაწყისში ვკითხულობთ, რომ შლამები და კუდები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე, შემდეგ კი გატანილი იქნება ამოღებული სივრცეების ამოსავსებად (გვ. 16) - რაც ყოველად დაუშვებელია. ანგარიშის სხვა ქვეთავების მიხედვით კი „მზა პროდუქციის და კუდების გატანა მოხდება საჭიროებისამებრ შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-თან შეთანხმების საფუძველზე“ - მსგავსი შეთანხმება არ ერთვის გზმ ანგარიშს და როგორც ცნობილია, შლამების განთავსება თავად ჯორჯიან მანგანეზისთვისაც პრობლემურია.

## **ტრანსპორტირება**

არასრულყოფილად არის განხილული ტრანსპორტირების საკითხი. არაა მოცემული ავტომანქანების მოძრაობის გეგმა. ნედლეულის შემოტანის, ასევე, მზა პროდუქციის, წარმოქმნილი შლამების და კუდების ტრანსპორტირების მარშრუტი და სქემა განთავსების ადგილის გათვალისწინებით.

როგორც გზმ ანგარიშში ვკითხულობთ, კომპანია მაქსიმალურად ეცდება თავი აარიდოს დასახლებულ პუნქტებში გადაადგილებას, თუმცა, გაუგებარია როგორ მოხდება ეს, როცა არანაირი გათვლა არ არის გაკეთებული. ჭიათურის სოფლებში სატვირთო ავტომანქანების გადაადგილების შედეგად ჰაერის დაბინძურების გამო, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, მოსახლეობა ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას. ამდენად, საკითხი უკვე პრობლემურია და შესაბამის შესწავლას და დაგეგმვას საჭიროებს.

## კუმულაციური ზემოქმედება

როგორც ანგარიშიდან ირკვევა საწარმოს მშენებლობა დაგეგმილია საწარმოო ტერიტორიაზე, საიდანაც 500 მეტრიან რადიუსში განთავსებულია ამავე პროფილის ოთხი საწარმო. ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი კი - 600 მეტრში მდებარეობს.

6.2.8 ქვეთავში განხილულია პროექტის კუმულაციური ზემოქმედება, რომელიც საკითხის თეორიული მიმოხილვაცაა მხოლოდ. გათვლები, ციფრების სახით გაკეთებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით. ქვეთავის ბოლოს დასკვნის სახით ვკითხულობთ „განსახილველი საწარმოს და მიმდებარედ არსებული ობიექტების ერთდროული ფუნქციონირების პროცესში მაღალი კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელი არ არის. თუმცა საჭირო იქნება ყველა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.“

სოფელ ითხვისის და საწარმოო ტერიტორიასთან მცხოვრები მოსახლეობის წუხილი უმეტეს შემთხვევაში საწარმოებიდან წარმოქმნილი ხმაურსა და ტრანსპორტირების საკითხს უკავშირდება. საჭიროა დეტალური გათვლებების ჩატარება.

## ზოგადი სახის შენიშვნები

ანგარიშის გაცნობის შემდეგ, მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ გარემოზე მიყენებული ზიანი უმნიშვნელო იქნება, რადგან საწარმოო ტერიტორია ისედაც ძლიერი ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ იყო. ის გარემოება, რომ საპროექტო ტერიტორია, მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენულ დატვირთვას, არ ნიშნავს, რომ დამატებით ზემოქმედება არ გამოიწვევს მის მნიშვნელოვან და შეუქცევად დეგრადაციას.

3.4 ქვეთავის მიხედვით, საწარმო იმუშავებს კვირაში 5 დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა კი 8-16 საათი იქნება. არ არის დაზუსტებული ერთ თუ ორ ცვლაში იმუშავებენ დასაქმებულები. არ არის დაზუსტებული დღის თუ ღამის საათებში იმუშავებს საწარმო.

## საჯარო განხილვა

24 მარტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ მიღებულია გადაწყვეტილება სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშ) ანგარიშების საჯარო განხილვების გადადებაზე, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაუქმებამდე - რაც სრულიად ლოგიკური და სათანადო გადაწყვეტილება იყო არსებულ სიტუაციაში. თუმცა, რამდენიმე დღეში სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომლის თანახმად „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის შესაბამისად, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით“. ამასთანავე, განცხადების თანახმად, „საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, არ ჩერდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შესაბამისად, საჭიროა შეუფერხებლად გაგრძელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საფუძველზე სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები“. განაცხადების თანახმად, ამ გარემოებების გათვალისწინებით, შპს „ტექნო 2016“ ქ. ჭიათურაში მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გშმ განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღება საჯარო განხილვის გარეშე მნიშვნელოვნად ამარაღებს პროცესს, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაცაა. ვიმედოვნებთ, სადავო არ არის ის გარემოება, რომ სამინისტროს ვებ-გვერდის უკიდურესად არახილვად და ძნელად მისაგნებ განყოფილებაში განცხადების გამოქვეყნებით არ ხდება დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება. ამდენად, საჯარო განხილვის გაუქმებით სამინისტრო ზღუდავს არა მარტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე მოქალაქეების უფლებას, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებასაც.

ამასთან გაუგებარია, რა კავშირი აქვს განსახილველ პროექტს ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად განხორციელების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილებასთან და რაში მდგომარეობს ის

გადაუდებელი აუცილებლობა, რომლის გათვალისწინებით გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მოთხოვნების უგულებელყოფით უნდა იქნას მიღებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად უსარგებლოა სამინისტროს ამავე განცხადებასთან ერთად, თითქოსდა, საჯარო განხილვების გაუქმების საკომპენსაციოდ გამოქვეყნებული პრეზენტაცია. გაუგებარია, რაში მდგომარეობს დოკუმენტის დანიშნულება და დამატებითი ღირებულება.

საბოლოოდ, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს შეიცავს. გარემოზე ზემოქმედების წყაროები და რისკები არ არის სათანადოდ შესწავლილი; ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი როგორცაა შლამის განთავსება საერთოდ არ არის დაგეგმილი. მიგვაჩნია, რომ შპს ტექნო-2016-ს უარი უნდა ეთქვას ჭიათურაში მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებაზე.